მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

27 აპრილი, 2020
04/02-249

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სექტორებში.

2020 წლის 8 აპრილს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა „დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმების დამტკიცების თაობაზე“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 აპრილის #14 დადგენილება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, დამტკიცებულ დოკუმენტს არ ჩატარებია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება და არც სამინისტროს მიუღია სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება.

გთხოვთ, შეისწავლოთ ზემოაღწერილი შემთხვევა, მიიღოთ შესაბამისი ზომები და მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამინისტროს მიერ კანონდარღვევის აღკვეთისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი